სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

ანგარიში

2026 წელი

პირველი კვარტალი

შესავალი ..... 2 გვ

ქართული ღვინის პოპულარიზაცია ..... 3 გვ.

ექსპორტი ..... 8 გვ.

რთველი 2026..... 9 გვ.

ღვინის ხარისხის კონტროლი ..... 10 გვ.

ვენახების კადასტრი ..... 11 გვ.

ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია ..... 12 გვ

საკანონმდებლო ცვლილებები ..... 13 გვ.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ძირითადი საქმიანობა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ღვინის ეროვნული სააგენტო შემდეგი მიმართულებებით მუშაობს:

- მევენახეობის განვითარება;
- ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
- რთველის პროცესის ხელშეწყობა;
- ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- ქართული ღვინის ადგილწარმოშობების სისტემის განვითარება;
- ღვინის ლაბორატორიული კვლევა.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით ქართული ღვინო მსოფლიოს 5 ქვეყანაში – აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ჩინეთი – 8 გამოფენასა და 4 დეგუსტაციაზე იყო წარმოდგენილი.

„DROPS OF GOD“ მე-2 სეზონი

21 იანვარს, Apple TV-ზე EMMY-ის მფლობელი, მრავალენოვანი სერიალის „DROPS OF GOD“ მეორე სეზონის პრემიერა შედგა. სეზონი რამდენიმე ეპიზოდისგან შედგება და მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მაყურებელს ღვინის კულტურისა და გასტრონომიის სამყაროში, მათ შორის, საქართველოში ამოგზაურებს. „DROPS OF GOD“ ეფუძნება ამავე სახელწოდების ბესტსელერ იაპონურ მანგას და წარმოადგენს ფრანგულ-იაპონურ დრამას. სერიალის გმირების მამას, ლეგენდარულ ფრანგ სომელიე ალექსანდრ ლეჟერს, შექმნილი აქვს მსოფლიოში ყველაზე დიდი და ძვირადღირებული ღვინის კოლექცია. მეორე სეზონში სერიალის გმირების ამოცანაა მიაგნონ კოლექციის ყველაზე საუკეთესო და ამავდროულად უსახელო ღვინის ბოთლის წარმოშობის ადგილს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სხვა ქვეყნებთან ერთად, სერიალის გმირები საქართველოშიც მოგზაურობენ. სერიალის „DROPS OF GOD“ მეორე სეზონის ნაწილი გადაღებულია საქართველოში, კინოკომპანიების „სტუდია 99“ და „ასი ფილმი“ მონაწილეობით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროექტის „გადაიღე საქართველოში“

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

მხარდაჭერით. პროექტის კონსულტანტი იყო საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი შალვა ხეცურიანი.

„RAW Wine Paris 2026”

8-9 თებერვალს, პარიზში, ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW Wine Paris 2026”, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქვევრის ღვინის მწარმოებელი 9 მარანი: „ანაპეა“, „შერმას საოჯახო მეღვინეობა“, „ანდრიას ღვინო“, „გოცას ღვინო“, „ართანა“, „გონჯების ღვინო“, „ბაცაშვილის ღვინის გალერეა“, „მანავი ვაინსი“ და „მეღვინეობა თილისმა“ მონაწილეობდა. „RAW Wine” ერთ-ერთი გამორჩეული საერთაშორისო გამოფენაა, სადაც მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორია ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი. მიმდინარე წელს, პარიზის გამოფენაზე 16 ქვეყნის 200-მდე ბუნებრივი ღვინის მწარმოებელი იყო წარმოდგენილი, მათ შორის, მეღვინეობის ტრადიციებით სახელგანთქმული ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და სხვა. ტრადიციულად, ქართული ღვინის მიმართ ინტერესი დიდი იყო ღვინის პროფესიონალებისა და ვიზიტორების მხრიდან. გამოფენას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, ლევან მეხუზლა დაესწრო.

„Wine Paris 2026“

9-11 თებერვალს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, პარიზში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მასშტაბურ საერთაშორისო გამოფენაზე „Wine Paris“ ქართული ღვინის მწარმოებელი 30-მდე კომპანიის პროდუქციაა წარმოდგენილი. „Wine Paris“ მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენაა ღვინის ინდუსტრიაში, სადაც, ტრადიციულად, თავს იყრიან ღვინის პროფესიონალები, იმპორტიორები და მედიის წარმომადგენლები. ქართული ღვინის წარდგენა აღნიშნულ გამოფენაზე არის საუკეთესო შესაძლებლობა ქართული ღვინის ცნობადობის გასაზრდელად, ახალი პარტნიორების მოსაზიდად და არსებული სავაჭრო ურთიერთობების გასაძლიერებლად“, - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე თამთა ყველაიძემ. სამდღიან გამოფენაზე მსოფლიოს 60-მდე ქვეყნის ასეულობით მწარმოებლის ალკოჰოლიანი სასმელებია წარმოდგენილი. გამოფენას, ტრადიციულად, სტუმრობს 50 ათასზე მეტი ვიზიტორი ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან, ასევე აშშ-დან და კანადიდან.

„SLOW WINE FAIR”

22-24 თებერვალს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, იტალიის ქალაქ ბოლონიაში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „SLOW WINE FAIR” ქვევრის ღვინის მწარმოებელი რვა კომპანია მონაწილეობდა: „ანდრიას ღვინო“, „ველინო“,

„ჭორტაულის ვენახები“, „გოცას ღვინო“, „მეღვინოება ბაადური 1933“, „კონდოლი ვაინერი“, „შერმას საოჯახო მეღვინეობა“ და „მეღვინოება ნიაბი“. გამოფენაზე „SLOW WINE FAIR” საკუთარი პროდუქცია მსოფლიოს 1000-მდე ღვინის კომპანიამ წარადგინა, რომელთა უმეტესობა ორგანული და ბიოდინამიური ღვინოები იყო. გამოფენას, ტრადიციულად, 20 ათასამდე ვიზიტორი სტუმრობს, მათ შორის Horeca სექტორის წარომადგენლები, დისტრიბუტორები და იმპორტიორები, რაც მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის პოპულარიზაციის, საქმიანი პარტნიორების მოძიებისა და, შედეგად, ქართული ღვინის ექსპორტის ზრდისთვის. „SLOW WINE FAIR” უკვე მეხუთედ ჩატარდა. ქართული ღვინის მარნები გამოფენაში მეორედ მონაწილეობდნენ.

„Boston Wine Expo"

7-8 მარტს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners“ ორგანიზებით, აშშ-ის ქალაქ ბოსტონში, ღვინის ფესტივალზე „Boston Wine Expo" ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა, რაც მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ასამაღლებლად. წარდგენა მოიცავდა დეგუსტაციას და მასტერკლასს. დეგუსტაციას ღვინის მომხმარებლები, ასევე HoReCa, კომერციული და მედია სექტორების წარმომადგენლები დაესწრნენ. სადეგუსტაციოდ ქართული ღვინის მწარმოებელი 10-მდე კომპანიის ღვინოები იყო წარმოდგენილი.

ბოსტონის ღვინის გამოფენის ფარგლებში გამართულ მასტერკლასს 30 სტუმარი დაესწრო. საქართველოს მეღვინეობის კულტურის, ისტორიის, ვაზის ჯიშებისა და ღვინის თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ პრეზენტაცია ამერიკელმა ღვინის ექსპერტმა ერიკა ფრეიმ (Erika Frey) წარადგინა. ამერიკის შეერთებული შტატებში ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის მიზნით, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები კომპანიებთან „Colangelo & Partners“ და „Glodow Nead Communication“ გააფორმა.

„ქართული ღვინის ფორუმი“

11-12 მარტს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და ამერიკა-საქართველოს ბიზნეს-საბჭოს ორგანიზებით, რიგით მე-9 „ქართული ღვინის ფორუმი“ აშშ-ის პენსილვანიის შტატის ქალაქ ფილადელფიაში ჩატარდა. პენსილვანიის უნივერსიტეტში გამართული ორდღიანი ღონისძიება მოიცავდა სამეცნიერო კონფერენციას და ქართული ღვინის სემინარ-პრეზენტაციას, მოწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ ინფორმაცია საქართველოსა და ქართული ღვინის კულტურის შესახებ, ასევე, დაეგემოვნებინათ ქართული ღვინოები. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორი სტივენ ბატიუკი, არქეოლოგი ბილ შინდლერი, ასევე სომელიეები და მარკეტინგის სპეციალისტები. აღსანიშნავია, რომ „ქართული ღვინის ფორუმი“, ტრადიციულად, მოიცავს სამეცნიერო კონფერენციას, რომლის ფარგლებშიც, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერ-მკვლევარები ქართული ვაზის კულტურასა და ისტორიასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებს წარადგენენ და განიხილავენ. „ქართული ღვინის ფორუმი“ აშშ-ში პირველად 2018 წელს ქალაქ ვაშინგტონში გაიმართა.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

„ProWein Dusseldorf“

15-17 მარტს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, გერმანიის ქალაქ დუსელდორფში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების გამოფენაში „ProWein Dusseldorf“ ქართული ღვინის მწარმოებელი 26 კომპანია მონაწილეობდა. სამდღიანი გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations“ ორგანიზებით, ქართული ღვინის პროფესიული პრეზენტაცია-დეგუსტაციები გაიმართა, რომლებსაც ღვინის ექსპერტი ინგე მაინცერი, ღვინის მწერალი და ექსპერტი რობერტ ჯოზეფი, ღვინის მაგისტრები კონსტანტინ ბაუმი და იანეკ შუმანი უძღვებოდნენ. დეგუსტაციებზე განსაკუთრებული აქცენტი ქვევრის ღვინოებზე გაკეთდა. ქართულ ღვინოსთან ერთად, გამოფენის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულო და გასტრონომია. საქართველო გამოფენაში „ProWein Dusseldorf“ 26-ედ მონაწილეობდა. გამოფენაზე, სამი დღის განმავლობაში, ქართული ღვინის შეფასების შესაძლებლობა ღვინის პროფესიონალებს, კომერციული სექტორის წარმომადგენლებს და გამოფენის ათეულ ათასობით სტუმარს მიეცა, რასაც გაყიდვების ზრდისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. წელს გამოფენაზე „ProWein Dusseldorf“ მსოფლიოს 50 ქვეყნის 2400-მდე ღვინის კომპანია იყო წარმოდგენილი.

„Fine Wine Hotel Exhibition”

22-25 მარტს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 6 კომპანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჩენგდუში გამართულ გამოფენაში „Fine Wine Hotel Exhibition” მონაწილეობდა. გამოფენაში ქართული კომპანიების მონაწილეობა, ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებას, ახალი პარტნიორების მოძიებასა და საექსპორტო პოზიციების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. გამოფენის ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარიც, რომელსაც ცნობილი ღვინის მაგისტრი ფონგი ვოკერი უძღვებოდა. ღონისძიებას 100-მდე სტუმარი, მათ შორის, ღვინის პროფესიონალები, იმპორტიორები, ჰორეკა სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ, რაც მნიშვნელოვანია ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და გაყიდვების ზრდისთვის. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 8 კომპანიის ღვინოები.

„Fine Wineseer”

22-25 მარტს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი ოთხი კომპანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჩენგდუში გამართულ გამოფენაში „Fine Wineseer” მონაწილეობდა. ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებში საქართველოს წარდგენა, ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებას, ახალი პარტნიორების მოძიებასა და საექსპორტო პოზიციების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია

წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ქართული ღვინის ერთ-ერთი გამოკვეთილი სტრატეგიული ბაზარია, სადაც 2013 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს მარკეტინგული კამპანია. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მონაწილეობას იღებენ მასშტაბურ გამოფენებზე: ,,Fine Wine Hotel Exhibition", „The China Food & Drinks Fair", ,,RAW Wine Shanghai", „Shanghai International Wine Challenge" (SIWC), „Interwine China " და სხვა.

„The China Food & Drinks Fair"

26-28 მარტს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, ქალაქ ჩენგდუში გამართულ ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენაში „The China Food & Drinks Fair" ქართული ღვინის მწარმოებელი 24 კომპანია მონაწილეობდა. სამდღიანი გამოფენის ფარგლებში, ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებმა შეხვედრები პარტნიორებთან და პოტენციურ იმპორტიორებთან გამართეს. გამოფენა „The China Food & Drinks Fair" ჩინეთში 1955 წლიდან ტარდება და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოფენაა, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ყოველწლიურად ათასობით ღვინის მწარმოებელი და მილიონამდე ვიზიტორი ესწრება. ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია წარმოადგენს.

„Wine Spectator"

31 მარტს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" ორგანიზებით, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და კომპეტენტური ამერიკული ღვინის ჟურნალის „Wine Spectator" მარტის ნომერში ქართულ ღვინოზე სამი სტატია დაიბეჭდა. საქართველო ჟურნალის ყდაზეა წარმოდგენილი და ეთმობა ერთი სრული სარეკლამო გვერდი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც ამერიკის სტრატეგიულ, ისე ღვინის გლობალურ ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ზრდისთვის. ჟურნალის ონლაინ ვერსია თებერვალში გახდა ხელმისაწვდომი. აღნიშნულ ჟურნალში ქართული ღვინის შესახებ სტატია, ბოლო 14 წლის განმავლობაში, პირველად დაიბეჭდა. პირველი სტატია „საქართველო ყურადღების ცენტრში", რომლის ავტორია ჟურნალის უფროსი რედაქტორი ჯეიმს მოლსვორთი, ქართული ღვინის მიმოხილვას მიეძღვნა. „ქართული ღვინოები ახალ ეტაპს გადიან. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა, ღვინის სამშობლო 8000 წლიანი ღვინის კულტურით, ტურიზმის მნიშვნელოვანი ზრდით სარგებლობს, ხოლო მისი ადგილობრივი ყურძნის ჯიშების ფართო ასორტიმენტი, გამორჩეული მეღვინეობის სტილი და გულიანი სამზარეულო ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის თავგადასავლების მოყვარულთათვის", - აღნიშნულია სტატიაში. სტატიაში ასევე საუბარია EMMY-ის მფლობელი მრავალენოვანი სერიალის „DROPS OF GOD" მეორე სეზონზე, სადაც ქართული ღვინო ყურადღების ცენტრშია. მეორე სტატია სათაურით „სუფრა" ქართულ სუფრასა და გასტრონომიას მიეძღვნა. სტატიის ავტორი ჯულია ლარსონი ყურადღებას ამახვილებს ქართულ სამზარეულოსა და კერძებზე, ასევე, სუფრის ტრადიციაზე და მის კულტურულ მნიშვნელობაზე.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

მესამე სტატიაში წარმოდგენილია ქართული ღვინოების შეფასებები. ჯეიმს მოლსვორთმა დეგუსტაციისთვის 23 მწარმოებლის 56 ქართული ღვინო შეარჩია, საიდანაც უმაღლესი შეფასება - 93 ქულა „ხიხვი კახეთი 2023“-მა (ანდრის ღვინო) მიიღო. ჯამში, 18-მა ღვინომ Wine Spectator-ის 100-ქულიანი შეფასების სისტემიდან 90 ან მეტი ქულა მიიღო, რაც საკმაოდ მაღალი შეფასებაა. „Wine Spectator“ 1976 წლიდან გამოდის და ამერიკული ღვინის მიმართულებისა და ცხოვრების სტილის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და პოპულარულ გამოცემად მიიჩნევა ღვინის ენთუზიასტებსა და პროფესიონალებში. მისი ბეჭდური ტირაჟი 400 ათასს აღწევს, ხოლო ონლაინ გამოცემებისა და სხვადასხვა პლატფორმების ჩათვლით, მკითხველთა რაოდენობა 3 მილიონამდეა.

ექსპორტი

2026 წლის პირველ კვარტალში ქართული ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტში ზრდის ტენდენცია ფიქსირდება

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოდან მსოფლიოს 51 ქვეყანაში ექსპორტირებულია 17,3 მლნ ლიტრი ღვინო, რომლის ღირებულება 53,2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა 5%-ით, ხოლო ღირებულება 7%-ით გაიზარდა.

ქართული ღვინის სტრატეგიული ბაზრებიდან პირველ კვარტალში განსაკუთრებული ზრდა გერმანიაში დაფიქსირდა, სადაც ექსპორტმა 375 ათას ლიტრს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 32%-ით მეტია. 9%-ით გაიზარდა ექსპორტი დიდ ბრიტანეთში და 86 ათას ლიტრს მიაღწია. ასევე, 4%-იანი ზრდა ფიქსირდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც ექსპორტირებულია 831 ათასამდე ლიტრი ღვინო.

პირველ კვარტალში, სპირტიანი სასმელების ექსპორტი 38 ქვეყანაში განხორციელდა. ჯამში ექსპორტირებულია 7,6 მლნ ლიტრი, 56,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი 3%-ით გაიზარდა.

რთველი 2026

12 მარტს გამოიცა „2026 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება, რომლის მიზანია 2026 წლის რთვლის პროცესში მევენახეების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა და რთვლის ორგანიზებულად წარმართვა.

2026 წლის რთვლის დროს, ჭარბი მოსავლის შემთხვევაში, თუ კერძო სექტორი არ გამოხატავს ყურძნის შესყიდვის ინტერესს, სახელმწიფოს მხრიდან 1 კგ ყურძნის შესასყიდად განისაზღვრა ხარისხის მიხედვით დიფერენცირებული შემდეგი ფასები: ,,ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით ნებადართული ვაზის ჯიშებისგან მოწეული ყურძენი: შაქრიანობა აღემატება 20%-ს - 1,30 ლარი; შაქრიანობა 17%-დან-20%-მდე - 80 თეთრი, შაქრიანობა არ აღემატება 17-%-ს - 30 თეთრი; რაც შეეხება საფერავს: შაქრიანობა აღემატება 22%-ს - 1,50 ლარი, შაქრიანობა 17%-დან - 22%-მდე - 90 თეთრი, შაქრიანობა არ აღემატება 17-%-ს - 30 თეთრი.

რაჭის რეგიონში, რთვლის პროცესში კერძო სექტორის ჩართულობის სტიმულირების და მოსავლის ორგანიზებულად დაბინავების მიზნით, პროექტი ასევე ითვალისწინებს ყურძნის სუბსიდირებას: სუბსიდიას მიიღებს ყველა ის კომპანია, რომელიც „ხვანჭკარას“ მიკროზონაში მოწეულ 1 კგ ალექსანდროულის ან/და მუჯურეთულის ჯიშის ყურძნის სანაცვლოდ, მევენახეს არანაკლებ 8 ლარს გადაუხდის. სახელმწიფო სუბსიდიის ოდენობა, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ღვინის კომპანიები მიიღებენ, შეადგენს 4 ლარს, როგორც 1 კგ ალექსანდროულის, ასევე, 1 კგ მუჯურეთულის ჯიშის ყურძენზე.

ყურძნის მოსავლის ორგანიზებულად დაბინავების მიზნით, შეიქნება რთვლის საკოორდინაციო შტაბი, რომელიც 24 საათიანი რეჟიმით იმუშავებს.

ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების რეფორმის ფარგლებში, რომელიც ასევე მოიცავს რთველისთვის სამზადისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა და მოადგილე ზურაბ ვაჭარაძე კახეთის რვავე მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდენენ.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

ღვინის ხარისხი

ღვინის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურები უწყვეტ რეჟიმში აგრძელებენ ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის მონიტორინგს, რათა ქართული ღვინო სრულად აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს, ინარჩუნებდეს კონკურენტუნარიანობას და გლობალურ ბაზრებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდოს.

სანგარიშო პერიოდში, 23 კომპანიაში 55 საინსპექციო კონტროლი განხორციელდა, რაც სერტიფიცირებისათვის წარდგენილი ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშების ლოტებთან შესაბამისობის დადგენას გულისხმობს. აღებული 216 ნიმუშიდან დარღვევა არც ერთ შემთხვევაში არ გამოვლენილა. გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, 22 კომპანიის ინსპექტირების შედეგად აღებული 51 ნიმუშიდან დარღვევა 3 კომპანიის 6 ნიმუშში დაფიქსირდა. ამავე პერიოდში 4 კომპანიაში განხორციელდა 10 სახელმწიფო ზედამხედველობა, რაც საწარმოებში ღვინის ტექნოლოგიური პროცესის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას ისახავს მიზნად. აღებული 15 ნიმუშიდან დარღვევა არ გამოვლენილა. რაც შეეხება ადგილობრივ ბაზარს, განხორციელებული 6 კონტროლის ფარგლებში შემოწმდა 56 კომპანიის 101 ნიმუში. დარღვევა დაფიქსირდა 33 კომპანიის 49 ნიმუშში. აღსანიშნავია, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დარღვევების რაოდენობა შემცირებულია, რაც ღვინის ხარისხის კონტროლის სისტემის ეფექტიანობაზე მიუთითებს.

სააგენტოს მუდმივმოქმედი სადეგუსტაციო კომისიის მიერ, ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 64 დეგუსტაცია ჩატარდა. სულ სადეგუსტაციოდ წარდგენილი იყო 3106 ნიმუში, საიდანაც ტესტირება ვერ გაიარა 119-მა, დადებითი შეფასება მიენიჭა 2987-ს. სავალდებულო დეგუსტაციას ექვემდებარება ყველა საექსპორტო და ასევე ადგილობრივ ბაზარზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები. ალკოჰოლური სასმელის ნიმუშის ორგანოლეპტიკური ტესტირება ხდება ფერსა და გამჭირვალობაზე, ტიპურობაზე, დაავადებების არსებობაზე, არომატზე, გემოსა და ჰარმონიულობაზე. შეფასება ხდება ხუთქულიანი სისტემით. დადებით შედეგად ითვლება, თუ შეფასების ბალური მაჩვენებელი ტოლია ან მეტი 1,5 – ზე.

საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ 5879 განაცხადი. შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია: VI-1 ფორმის სერტიფიკატი /ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ – 1918 ცალი; შესაბამისობის სერტიფიკატი – 5407 ცალი; სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე, ღვინის ეროვნული სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოს მიერ, გაცემულია სულ 7325 სერტიფიკატი.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

ვენახების კადასტრის პროგრამა

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა **2026 წლის სამოქმედო გეგმა**, რომელიც განსაზღვრავს სამმართველოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, პრიორიტეტებსა და განსახორციელებელ ღონისძიებებს.

- მომზადდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი – **„სამეწარმეო ვენახის გაშენების წესი“**.

ვენახების კადასტრის მონაცემთა ბაზის სრულყოფისა და მუდმივი განახლების მიზნით, სააგენტოს თანამშრომლების მიერ უწყვეტ რეჟიმში ხორციელდებოდა საკადასტრო მონაცემების დამუშავება და დაზუსტება. აღნიშნული პროცესი მოიცავდა მევენახეთა ცვლილებების ასახვას, ახალი ვენახების რეგისტრაციას, ამოძირკვის ფაქტების დაფიქსირებასა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის განახლებას. შედეგად, საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა **250 ვენახის ამონაწერი.**

მონაცემთა სანდოობისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად განხორციელდა საველე შემოწმებები, რომლის ფარგლებშიც გადამოწმდა **49 მევენახის საკუთრებაში არსებული 67 ნაკვეთი**.

საანგარიშო პერიოდში ასევე მიმდინარეობდა 2021-2022 წლებში გაცემული **დოკუმენტაციის დაარქივება.**

გასული წლის მონაცემების ანალიზისა და დამუშავების საფუძველზე მომზადდა **„საქართველოს ვენახების კადასტრის 2025 წლის ანგარიში“ ქართულ და ინგლისურ ენებზე (64 გვერდი).** ნაშრომში წარმოდგენილია ღვინის ეროვნული სააგენტოს ვენახების ერთიანი კადასტრის სტატისტიკური ანგარიში 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც მოიცავს ინფორმაციას საქართველოს ვენახებისა და მევენახეების შესახებ. ანგარიში განკუთვნილია პროფესიონალებისა და მევენახეობის საკითხებით დაინტერესებული მოყვარულებისათვის.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

საქართველოს ვენახების ერთიანი კადასტრის შესახებ **პრეზენტაცია წარდგენილ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში**, ქალაქ პეკინში, ჩინეთის აგრარული უნივერსიტეტის დოქტორანტებისათვის, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს გამოცდილების გაზიარებისა და საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ქვეყნის წარმოჩენის თვალსაზრისით.

ქართული ღვინის კულტურის მეცნიერული კვლევა

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტის" განხორციელება დაიწყო 2014 წელს „ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის" პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანი საქართველოს ღვინის კულტურის უძველეს კერად დადასტურებული ქვეყნისათვის ახალი მონაცემების შეგროვებაა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში, მევენახეობა მეღვინეობის უწყვეტი ისტორიის რეკონსტრუქცია, მევენახეობა-მეღვინეობის აგრონომიული და ენოლოგიური პოტენციალის გამოკვლევა და ქართული ღვინის პოპულარიზაციაა. ამ მიზანს ის ასრულებს მულტიდისციპლინარული კვლევების ფორმატში, რომელშიც ჩართული არიან ქართველი და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების და სამეცნიერო ცენტრების მეცნიერები.

საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- შესათანხმებლად შეირჩა მიმდინარე წლის კვლევების დაგეგმვაში მონაწილე სამეცნიერო ჯგუფები და ლაბორატორიები. მიმდინარეობს შერჩეულ სუბიექტებთან მომავალი სამუშაოების დეტალების დაზუსტება და ხელშეკრულებების გაფორმება.

- ბაზრის კვლევის პრინციპებზე დაყრდნობით შეირჩა და ხელშეკრულებები გაფორმდა ექსპრეს გადამზიდ კომპანიებთან, რომლებიც გამოყენებული იქნება პარტნიორებთან საანალიზო ნიმუშების გასაგზავნად.

- საქართველოს ველური ვაზის შესწავლის ფარგლებში ორგანიზებული იქნა საველე ექსპედიციები მესხეთის, რაჭის, ლეჩხუმის, იმერეთის, ქართლისა და კახეთის მევენახეობის რეგიონებში მათი ადგილზე აღწერისა და ადგილმდებარეობის კოორდინატების დაზუსტების მიზნით; აღებულია გასამრავლებელი მასალა მომავალში კოლექციაში დამაგრებისათვის მიზნით; ჯიღაურას კოლექციაში დაცულ გენოტიპებზე განხორციელდა ბიომეტრული კვლევები.

- მევენახეობა – მეღვინეობის მიმართულების სამეცნიერო ჟურნალმა OenoOne (vol. 60, No1 (2026) გამოაქვეყნა მილანის უნივერსიტეტის (იტალია) მკვლევარის გაბრიელა დე ლორენცის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო სტატია სათაურით „Georgian wild grapevine germplasm is confirmed to be genetically distinct from Mediteranian germplasm". სტატია ეყრდნობა ჩვენი პროექტის

ფარგლებში გასულ წელს შეკრებილი საქართველოს ველური ვაზის ნიმუშების ხმელთაშუა ზღვის აუზის ველური ვაზის ნიმუშებთან შედარების შედეგებს.

- სააგენტოში მომზადდა და დასაბეჭდად გადაეცა პროექტის მიერ დაწესებული სერიის „ქართული ვაზი და ღვინო: ლიტერატურული მემკვიდრეობის“ მეშვიდე წიგნი: ლ. ე. ჯორჯაძის „მევენახობა და ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესობა ხელთმძღვანელობისათვის კახური ღვინის მაყენებლებისა“. ეს წიგნი, გამოცემული პირველად 1876 წელს, წარმოდგენს ისტორიული ღირებულების მქონე ერთ-ერთ პირველ ქართულენოვან დარგობრივ ნაშრომს, სადაც განხილულია მევენახეობისა და მეღვინეობის თემების დიდი მრავალფეროვნება და მათი მგდომარეობა მეცრამეტე საუკუნის ამ პერიოდისათვის.

ცვლილებები ვაზისა და ღვინის კანონში

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით კანონს დაემატა ნორმა, რომლითაც განისაზღვრება სამეწარმეო ვენახის გაშენებაზე თანხმობის გაცემის ცნება. სამეწარმეო ვენახების გაშენებაზე თანხმობის მიღება დასჭირდებათ იმ პირებს, რომლებიც მიმდინარე წლის 1 მაისის შემდგომ პერიოდში გადაწყვეტენ კომერციული მიზნებისთვის ვენახის გაშენებას.

„ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის“ მიზანია ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების, ასევე, რეალიზაციისათვის აუცილებელი ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნათა გათვალისწინების ხელშეწყობა.

„ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი“ დაარეგულირებს ვენახების გაშენების, პროდუქციის ეტიკეტირების, სამომხმარებლო ტარაში დაფასოებისა და აღრიცხვიანობის წესებს.

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა ნორმა, რომლითაც განისაზღვრება სამეწარმეო ვენახის გაშენებაზე თანხმობის გაცემის ცნება. სამეწარმეო ვენახების გაშენებაზე თანხმობის მიღება დასჭირდებათ იმ პირებს, რომლებიც მიმდინარე წლის 1 მაისის შემდგომ პერიოდში გადაწყვეტენ კომერციული მიზნებისთვის ვენახის გაშენებას.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

„ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის“ მიზანია ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების, ასევე, რეალიზაციისათვის აუცილებელი ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნათა გათვალისწინების ხელშეწყობა.

„ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი“ დაარეგულირებს ვენახების გაშენების, პროდუქციის ეტიკეტირების, სამომხმარებლო ტარაში დაფასოებისა და აღრიცხვიანობის წესებს.

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა აქტიურად შუქდება

ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში:

(http://wine.gov.ge/, https://www.facebook.com/nationalwineagency/

https://www.youtube.com/channel/UC0CPwXo8f7-QA329kmicFwQ)

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge